სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N367

ქ. ბათუმი

19 სექტემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს „ზუ-კა“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ შარაძის სახით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი:55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა დეპარტამენტის დელეგაციებსა და სტუმრებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა გაუწიოს კვებით მომსახურება, შემდგომში მომსახურება მომსახურების გაწევა განხორციელდება რესტორანში „ბერნი“.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახდო ანგარისფაქტურის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია: დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს სტუმრების კონკრეტულ ჯგუფს.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „ზუ-კა“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ.N17
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 445473461
	სს "საქართველოს ბანკი“ *ბანკის კოდი –* BAGAGE22 ანგარიში N GE43BG0000000595775200
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /ზურაბ შარაძე/ ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ კვების მომსახურების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 19 სექტემბერს შპს „ზუ-კა"-სთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N367 ხელშეკრულებაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე
სულხან ღლონტი

19 სექტემბერი 2018 წელი